საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 239

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, ნოემბრის 9

1922 წ.

ტფილ. ფასი 50ასი მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვერა რომანოზის ასული, შვილები კოტე, ირაკლი, თამარა და ტარიელი, და ბარბარე მამრაძე და დისწული პეტრე მამრაძე, აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობებს რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 ნოემბერს გარდაიცვალა საყვარელი

სოფრომ (მიშა) გლახას ძე

ტარუაშვილი (გლახაშვილი)

სამეურნეო ბანკის ყოფილი დირექტორი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან ვერაზე და დაკრძალვა წმ. ნიკოლოოზის ეკლესიის გალავანში პარასკევს 10 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე.

№ 441 2—1

სამეურნეო ბანკის საბჭო და გამგეობა თანამშრომლებითურთ მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სამეურნეო ბანკის გამგეობის ყოფილი წევრის

სოფრომ ტარუაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა პარასკევს, 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ნიკოლოზის ეკლესიაზე.

№ 129 1—1

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

ხუთშაბათს 9 ნოემბერს

სიმახინჯე

დადგმა მ. ქორელისა

დასაწყისი სრულ 8 საათზე

კრ. 528 1—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

ხუთშაბათს 9 ნოემბერს

აიდა

პარასკევს 10 ნოემბერს

ეკვენი ანეგინი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია. კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

კრ. 527. 1—1

ლოზანას კონფერენცია და საქართველოს საკითხი

ამ რამდენიმე კვირის შემდეგ ლოზანაში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მთავარი მიზანი არის ახლო-აღმოსავლეთის საკითხების განხილვა. ოსმალეთის თანამედროვე ვითარებამ და იქ მოხდარმა ამბებმა აღმოსავლეთის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის პირველ რიგში წამოაყენა. დღეს ახლო-აღმოსავლეთის საკითხი, უფრო კი ოსმალეთის პრობლემა იპყრობს, მთელი მსოფლიოს ყურადღებას.

გამარჯვებულმა ანტანტამ სევრის ხელშეკრულებით სცადა ოსმალეთის საკითხის გადაჭრა. ამ ხელშეკრულებით ისპობოდა ოსმალეთის სუვერენობა და მისი ტერიტორია რამოდენიმე წვრილ ერთეულად ნაწილდებოდა. ოსმალეთის ხალხის ძლიერი სურვილები და ნებისყოფა არ შეურიგდა ამ პირობებს და იარღლით ხელში დაუპირისპირდა მას. დღეს ლოზანაში ხდება ხელმეორედ განხილვა ოსმალეთის საკითხისა. ანტანტის მოძალადეები დარწმუნდნენ, რომ ძალითა და სიბერძნეთის ავანტიურისტების დახმარებით შეუძლებელი არის ავაზაკური ხელშეკრულების თავზე მოხვევა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხისათვის და მისი რეალურად განდგება. ფაქტიურად ლოზანას კონფერენციამ უნდა მოახდინოს სევრის ხელშეკრულების რევიზია, მისი გადასინჯვა. როგორც ვერსალის ავაზაკურმა პირობებმა, ისე სევრის ხელშეკრულებამაც სამარცხვინო კრახი განიცადა და დღეს მოკავშირე სახელმწიფოები ამ ორიოდე წლის წინად მიღებულ გადაწყვეტილებების გადასინჯვას შეუდგნენ. რასაკვირველია, ამ კონფერენციაზედაც შეეცდება ანტანტა მაქსიმუმს თავისი პროგრამისას მიაღწიოს და ევროპის იმპერიალისტებისათვის ხელსაყრელი პირობები შეჰქმნას ახლო-აღმოსავლეთში, მაგრამ თავის თავად ლოზანის კონფერენციის მოწვევა და ოსმალეთის საკითხის ხელმეორედ დასმა ნიშნავს ძველი დადგენილებების გადასინჯვასა და ცდას ახალი პოლიტიკური ურთიერთობის გამოძებნისას ოსმალეთთან. თუ როგორს ფორმებს მიიღებს ეს ურთიერთობა ოსმალეთსა და ევროპის იმპერიალისტებს შორის, ამას კონფერენციის შედეგები გვიჩვენებს. დღეს დღეობით კი ერთი ნათელია, ოსმალეთის ხალხის ძლიერმა ნებისყოფამ და საომრად აღმართულმა მახვილმა ევროპის პოლიტიკა აიძულა დაამობის გზას დასდგომოდა.

მაგრამ ანტანტის დათმობა მარტო ამ საკითხში არ გამოიხატება, მარტო ოსმალეთის მიმართ არ არის იძულებული დასთმოს ევროპის იმპერიალისტებმა. როგორც ვიცით სევრის პირობების შედგენა და მისი გამომუშავება იკისრეს გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა და ამ გვარის სახით წარუდგინეს იგი დამარცხებულ ოსმალეთს ხელის მოსაწერად. ღღეს ანტანტისათვის გარემოება იმდენად შეიცვალა, რომ იგი იძულებული ხდება ახლო აღმოსავლეთის საკითხები განიხილოს არა მარტო ოსმალეთთან, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთადაც. მართალია ამაც ანტანტა სხვა და სხვა გვარ კომბინაციებს აყენებს და ცდილობს საბჭოთა რუსეთი მხოლოდ სრუტეების საკითხის განხილვაში დაისწროს, მაგრამ არსებითად ასეთი დადგენილებაც ანტანტის ხერხივ დათმობაზედ წასვლას ნიშნავს.

ახლო აღმოსავლეთის საკითხი და მასთან დაკავშირებული სრუტეების პრობლემა თავისთავად დიდ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. პოლიტიკურად და ეკონომიურად სრუტეების საკითხის გადაწყვეტა და ოსმალეთის მდგომარეობის მოგვარება მეტად სასიცოცხლო კითხვებს შეიცავს ჩვენი რესპუბლიკებისათვის. რასაკვირველია, ახლო აღმოსავლეთის ხალხის მიმართ საბჭოთა რესპუბლიკები არ გამოდიან იმპერიალისტური პოლიტიკით მაგრამ არც ევროპის სახელმწიფოებს მისცემენ საშუალებას თავისი ბატონობა აღმართონ აქ და არ მისცენ მოქმედების საშუალება სოციალისტურს რესპუბლიკებს,

ანტანტის მთელი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაზე არ დაეშვა საბჭოთა რესპუბლიკები. მას სურდა სევრის ხელშეკრულების ამბები გაეშფოთებინა და ურუსეთოდ მოეგვარებინა საქმე ოსმალეთში. მოკავშირეთა პირველს ნოტაში, რომელიც სექტემბერში 23 გაეგზავნა ქემალ ფაშის მთავრობას, არც ერთი სიტყვა არ იყო დაძრული საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ, თითქოს ეს რესპუბლიკები არ მდებარეობდნენ შავი ზღვის სანაპიროებზე და არ იყვნენ დაინტერესებულნი სრუტეების საკითხით. ამ ნოტამ გამოიწვია საბჭოთა რუსეთის მხრით საპასუხო ნოტა, რომელშიც საგარეო საქმეთა კომისარიატი აღნიშნავდა დიდ ინტერესს აღმოსავლეთის საპირეებისადმი და მოითხოვა სრული უფლებით კონფერენციაზედ რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მოწვევა. ნოტაში გარკვევით იყო აღნიშნული, რომ არავითარს გადაწყვეტილებას არ ექნება საერთაშორისო ძალა, ეს არ იქნება საავალდებულო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, თუ მის გადწყვეტაში მონაწილეობას არ მიიღებენ აღნიშნული რესპუბლიკები.

საკითხის ამ გვარი კატეგორიული ფორმით დაყენებამ გამოიწვია მოკავშირეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ევროპის პრესა პირველად გადმოგვცემდა, რომ მოკავშირეებს სურთ ორი კონფერენციის მოწვევა. მეორე კონფერენცია იქნება სპეციალურად სრუტეების საკითხის შესახებ, სადაც დაშვებული იქნებიან საბჭოთა რესპუბლიკები და ბოლგარეთი. პირველი კონფერენცია კი მათ გარეშე უნდა მომხდარიყო. თავის თავად საკითხის ასე დასმას დიდი პოლიტიკური მიზნები ედვა სარჩულად ანტანტის მხრივ. მას სურდა მოწინააღმდეგე ძალების დასუსტება, დაქვეითება და ამ გვარი სახით თითან სამშვიდობო დამოკიდებულებისმიღწევა. თავის დროზედ ორი კონფერენციის მოწვევის საკითხმაც დიდი პროტესტი გამოიწვია საბჭოთა რესპუბლიკების მხრივ.

ღღეს ანტანტის პოლიტიკა რამოდენიმედ შეიცვალა და განზრახული აქვს ერთი კონფერენციის მოწვევა; სრუტეების საკითხის განხილვის დროს იქნება დაშვებული მხოლოდ საბჭოთა რუსეთი, დანარჩენ რესპუბლიკებზედ არ არის ლაპარაკი. ამის შესახებ უკვე ეცნობა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატს.

ამ გადაწყვეტილებით ანტანტამ უკვე უარყო თავისი ძველი დადგენილება რუსეთის არ მოწვევის შესახებ. ეს დიდი გამარჯვება არის თავის თავად. მხოლოდ კითხვის ასე დაყენება ტ სრუტეების გამოყოფა სხვა კითხვებიდან აშკარა ჰყოფს ანტანტის ახალ მიზნებს. მას სურს ჩოსწყვიტოს საბჭოთა რუსეთი დიპლომატიური ხერხით ახლო აღმოსავლეთის საკითხს და მხოლოდ გადაწყვეტილ საკითხების წინაშე დააყენოს იგი. ამის შესახებ სრულიად სამართლიანად სწერს ტრიბუნის დეპეშატი გაზ. „ენი შანში“, როდესაც ამბობს, რომ გამოყოფას საკითხისა სრუტეების შესახებ აქვს მიზნად წაართვას რუსეთს, უკრაინასა და საქართველოს უფლება კონფერენციაზედ მონაწილეობისა. ეს აშკარაა ყველასათვის და სრულიად სამართლიანად გამოიწვია ამ გადაწყვეტილებამ მესამე საპროტესტო ნოტა რუსეთის მთავრობისაგან, რომელშიც მოითხოვს იგი მთელი აღმოსავლეთის საკითხებში დაშვებასა და მონაწილეობის მიღებას.

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ამ ჟამად საქართველოს საკითხი. როგორც ირკვევა ანტანტის გადაწყვეტილებით ლოზანას კონფერენციაზე სრუტეების განხილვის დროსაც კი არ იქნება მიწვეული საქართველო. რით უნდა ავხსნათ ანტანტის ასეთი პოლიტიკა? უწინარეს ყოვლისა საქართველო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და უშუალო დამოკიდებულება აქვს ახლო-აღმოსავლეთთან. საქართველოს ეკონომიური წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორს ფორმებში ჩამოყალიბდება სრუტეების საკითხი და როგორ გადაწყდება ახლო-აღმოსავლეთის საქმეები საერთოდ. საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს ამ მხრივ ვერავინ ვერ უარყოფს, საქმე შეეხება მხოლოდ პოლიტიკურ მომენტებს. როგორც გვახსოვს, გენუას კონფერენციაზედ საქართველო არ დაუშვეს იმ მოსაზრებით, რომ ის აზიის სახელმწიფოა და მიწვეული იქნება ცალკე ახლო-აღმოსავლეთის საქმეების განხილვის დროსო. ღღეს ამ კონფერენციას იწვევენ ახლო-აღმოსავლეთის საკითხების შესახებ, პირობებს იმუშავებენ და საქართველო კი არ სურთ დაუშვან. ჩვენ ჯერჯერობით არ [illegible] საქართველოს დაშვებას კონფერენციაზედ მოკავშირენი. ერთი კი ნათელი არის—საქართველოს საკითხში ანტანტა გამოუვალ ჩიხში არის მოქცეული, [illegible] ქართველოს მშრომელი ხალხის მოთხოვნილება და სურვილი.

ხ. დეგიანი.

ნარკვევი

ავსტრიის „დემოკრატიის“ აღსასრულის წინ.

როგორც ვიცით უკანასკნელ ხანებში ავსტრიის პოლიტიკური მდგომარეობა მეტად გამწვავდა და სერიოზულ კრიზისს განიცდის. მოსკოვის „პრავდა“ იძლევა ავსტრიის იმ პირობებს, რომელნიც შექმნილია მის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სფეროში.

ავსტრიის პროლეტარიატს, სწერს გაზეთი, — უხდება უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა: მან საბოლოოდ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ენევის შეთანხმების შესახებ, რომელიც აწესრიგებს ავსტრიის „დახმარების“ პირობებს უცხოეთის კაპიტალის მხრით. ამ ხელშეკრულებამ, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის შემუშავებული, ავსტრია უნდა გადააქციოს კოლონიად ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალის.

ენევის ხელშეკრულება სამი ნაწილისაგან შესდგება: პირველში—„უზრუნველყოფილია“ ავსტრიის „დამოუკიდებლობა“, მეორეში ლაპარაკია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ჩეხო-სლოვაკიის ვალდებულებებზე. ეს დახმარება მდგომარხობს უწინარეს ყოვლისა მასში, რომ ავსტრია არ იღებს არც ერთ იმ სახელმწიფოთაგან ნადდად არაფერს. ისინი მხოლოდ ნებას რთავენ მათ მონახონ კრედიტი არა უმეტეს 650 მილიონ კრონისა ოქროთი. რაც შეეხება დამხმარე სახელმწიფოებს, ისინი მხოლოდ შეეცდებიან გამოითხოვონ პარლამენტებიდან ნებართვა ამ სესხის გარანტიისათვის, მაგრამ პირობები, რომელთაც ისინი აყენებენ, შესრულებულ უნდა იქნენ ავსტრიის მიერ დაუყოვნებლივ, ვიდრე ის დარწმუნდებოდეს, რომ კრედიტი მას ნამდვილად მიეცემა.

ეს პირობები კი უაღრესად დამცირებული არიან. ავსტრიამ უნდა უარი განაცხადოს გერმანიასთან შეერთების ოცნებაზე და დამოუკიდებლობაზე არა მარტო საგარეო პოლიტიკაში, არამედ სამეურნეოშიც კი; მას არა აქვს უფლება მისცეს რომელიმე სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებანი ავსტრიაში. მეორე მხრით, ყოველი მფარველი მხარე ვალდებულია არ მიიდოს განსაკუთრებული პრივილეგიები, ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ ის უნდა დარჩეს გაერთიანებულ იმპერიალისტების ხელში.

როგორია ავსტრიის „პოლიტიკური დამოუკიდებლობამ“? ავსტრიის მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ შეიტანოს კანონპროექტი პარლამენტში, რომლითაც როგორც ის, ისე შემდეგი მთავრობანი იღებენ უფლებას ორი წლის განმავლობაში შეადგინონ ბიუჯეტი პარლამენტის ჩარევის გარეშე, ე. ი. მყარდება სრული აბსოლიუტიზმი. ამის გარდა ავსტრიის მთავრობა ვალდებულია შემოიღოს მთელი რიგი ახალი ხარჯებისა.

ვინ იქნებიან ნამდვილი ბატონპატრონები ანტანტის ამ ახალ კოლონიაში? შეიქმნება საკონტროლო კომისია, რომელშიც ყოველ დასა-

ხელებულ სახელმწიფოთ ექნებათ 20 ხმა. კომიტეტი სწყვეტს ყველა საკითხებს, რომელნიც დაკავშირებული არიან კრედიტის მიღებასა და დაფარვასთან. მაგრამ მთავარი მისი ამოცანა არის—იყოს დამხმარე ორგანო ავსტრიის სრულუფლებიან გამგის—გენერალურ კომისართან, რომელიც ხალხთა ლიგის მიერ იქნება დანიშნული.

რაც შეეხება ავსტრიის მთავრობას, ის ემორჩილება არა მარტო კანტროლს, არამედ მზრუნველობასაც. მას არა აქვს უფლება თავისი სურვილის მიხედვით მოიხმაროს თუნდ მცირე ნაწილი შემოსავლისა და გასავლის; ის უარს ამბობს ემისიის უფლებაზე და სესხის აღებაზე გენერალური კომისრის უნებართვოთ სამაგიეროთ ამ უკანასკნელს უფლება აქვს საკანტროლო კომისიასთან ერთად შემოიღოს ახალი ხარკები, თუ მიმდინარე საკმარისი აღარ იქნება. ამათ გარდა გამომუშავებულ იქნება განსაკუთრებული პროგრამა „რეფორმებისა“, რომლის შინაარსზეც არაფერია ნახსენები.

ბურჟუაზიული პრესა ერთსულოვნად იცავს ამ მონური ხელშეკრულების მიღებას. ბურჟუაზია აცხადებს, რომ ხელშეკრულება თუმცა „ფარგლავს“ ავსტრიის მოქმედებას, მაგრამ მაინც გადაარჩენს მას საბოლოო დაღუპვისაგან. მან მშვენივრად იცის, რომ ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ უზრუნველყოფს კრედიტს მაგრამ მას მოსწონს ის პირობები, რომელნიც ბოლოს უღებენ რევოლიუციის მონაპოვართ.

სოციალ-დემოკრატია სრული დაბნევის სურათს წარმოადგენს. „არბაიტერ ცეიტუნგი“ პოზიციას იცვლის. თითქმის ყოველდღიურად დღემდის ნათელი პასუხი არ მიუცია. ერთი კი ეტყვის გარეშეა: სოც.-დემოკრატია არავითარ კონკრეტიულ ზომებს არ მიიღებს ხელშეკრულების წინააღმდეგ. მხოლოდ კომუნისტური პარტია აწარმოებს აქტიურ ბრძოლას ავსტრიის პროლეტარიატის დამონების წინააღმდეგ. ის უხსნის მუშებს, რომ ხელშეკრულება არ იხსნის ქვეყანას შექმნილი მდგომარეობიდან. მხოლოდ წესიერ მეურნეობასა, რომელიც შესაძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის დროს, შეუძლია სამეურნეო ჩიხიდან გამოიყვანოს ქვეყანა. მაგრამ ავსტრიის პროლეტარიატს არ ძალუძს მარტო გაუმკლავდეს უცხოეთის დამმონებელთ; მას უნდა დაეხმაროს საერთაშორისო პროლეტარიატი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

თურქული პრესა ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის შესახებ. ოფიციოზი „ხაკიმიეტ-მილი“ სწერს: „ჩვენი მიზანი მომავალ კონფერენციაზედ ნათელია და საგანებით განისაზღვრება ნაციონალური ხელშეკრულებით. მაგრამ ჩვენი მოთხოვნილებანი არ არის ნათელი, განსაკუთრებით სრუტეების კაპიტულაციის რეჟიმისა და გარანტიების საკითხებში, სრუტეების თავისუფლება არსებობს მხოლოდ დიდი მპყრობელებისათვის. დრო არის ამიტომ შეუდგეთ ლეგალურად დამუშავებას იმ საკითხებისას, რომელსაც აყენებს კონფერენცია და დავნიშნოთ ჩვენი კანდიდატები. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის ჩვენ, რომ ოსმალეთის ხიშტებით დაპყრობილს ყოველთვის აგებდნენ მწვანე მაგიდაზედ ოსმალეთის დიპლომატები“.

ტრაპეზუნდის დეპუტატი ნაბიუზადეხამლი წერილში, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ენი-ბონიში“, სათაურით „ჩიხში“, სწერს: „გამოყოფა სრუტეების საკითხისა ყველა სხვა საკითხებისაგან შეგვიყვანს ჩვენ ჩიხში. ძნელად ჩვენ დავეთანხმებით ამაზედ, მშვიდობიანობა ჩვენ არ გვეძლება უზრუნველყოფილი რამოდენიმე წლითაც და სამხედრო ხარჯებს ვერ შევამცირებთ. სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ვერ გადასწყვეტს საკითხს სრუტეების შესახებ; არ შეიძლება ნამდვილი იყოს. ამიტომ ჩვენ არ დავყარით იარაღს. გამოყოფის საკითხს სრუტეების შესახებ აქვს მიზნად მოუსპოს რუსეთს, უკრაინასა და საქართველოს უფლება კონფერენციაზედ მონაწილეობისა. გადადება ამ საკითხისა განსაზღვრულ დრომდე მისცემს ინგლისს შესაძლებლობას ალესოს იარაღი ოსმალეთის წინააღმდეგ. რუსეთი მართალი არის, როდესაც პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ. ნამდვილი მიზანი სრუტეების საკითხის იზოლიაციის—მისი გადაწყვეტის გაჭიანურებაა“.

ინგლისის იმპერიალიზმის პრაქტიკიდან ინდოეთში. „მანჩესტერ გარდიანი“ იტყობინება, რომ ინდოეთში, არმიტსარის მიდამოებში ინგლისელები უგრძნობლად მიყენებენ ყოველ დღეს ინდოს აკალი სიკვდილს. საქმის გარემოება შემდეგია: აკალი სიკვდილს სურთ განდევნონ სოფელ გურუდან მცირე ტომის წარმომადგენელნი, რომელთაც უკანონოთ დაიჭირეს მიწები და რომელზეც სხვათა შორის აშენებულია წმიდა ტაძარი აკალი—როგორც ეტყობა მტრობა სოციალურ ბერძნებსაც ატარებს, მაგრამ „მანჩესტერ გარდიანი“ ამაზე ლუმს. საქმე იმაშია, რომ სიკვდილი უკვე კარგა ხანია აწარმოებენ გაცხარებულ ბრძოლას ინგლისელებთან მიწების. გაყოფის ნიადაგზე. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა მოტა სინხი, ნიჭიერი ორგანიზატორი და პუბლიცისტი; სინხმ თავის დროზე მოაწყო ფართო საპროტესტო მოძრაობა არმიტსარის ამბების წინააღმდეგ. „მ. გ.“ კორესპონდენციიდან სჩანს, რომ ხელისუფალნი ყოველ-დღეობით იცავენ აკალის მოწინააღმდეგეთ. კორესპონდენტი სწერს: მე ჯერ კიდევ არ შევხვედრივარ არც ერთ ინტელიგენტ ინდუსს, რომელიც არ უთანაგრძნობდეს სიკვდილს... სიკვდილი არ გვენდობიან ჩვენ... დანარჩენი ტომები უმეტესნი სიკვდილის საფიქრებს და ამხნევებენ მათ. ერთი სიტყვით, ჩვენ არა ვართ ნდობით აღჭურვილი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მართვისას“.

ლიბერალების პროგრამა. ინგლისის სუპერალმენტო არჩევნებში მონაწილე ლიბერალურ პარტიების ფედერაციამ გამოაქვეყნა თავისი პოლიტიკური პროგრამა, რომელიც შემდეგ პუნქტებს შეიცავს: 1) მშვიდობიანობის დამყარება და საყოველთაო განიარაღება ხალხთა ლიგის საშუალებით; 2) დაუყოვნებლივი გადასინჯვა რეპარაციის საკითხებისა და საკავშირო სესხების; 3) გადაჭრილი ზომებ სახელმწიფო გასავლის შესამცირებლად; 4) სახელმწიფოებრივ ლონისძიებათა სისტემა მშრომელთა უმუშევრობისაგან დასაცავ; 5) მშვიდობიანი თანამშრომლობა კაპიტალსა და შრომის შორის; 6) ლოიალური დამოკიდებულება მუშათა ორგანიზაციებისადმი, როგორც ერთად ერთი ბაზისი მტკიცე სამრეწველო მშვიდობიანობისა; 7) ვაჭრობის სრული თავისუფლება; 8) სახალხო განათლების ინტერესების დაცვა, ჯანმრთელობის დაცვის, საადგილ-მამულო დაბეგვრის და საბინაო საქმის რეფორმა და ბრძოლა ალკოგოლიზმთან; 9) შემოღება პროპორციული წარმომადგენლობისა პარლამენტში.

მუშათა პარტიის პლატფორმა ინგლისის არჩევნებში. მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა თავისი საარჩევნო პროგრამა, რომელიც შემდეგ მუხლებს შეიცავს: 1) გადასინჯვა ყველა სამშვიდობო ხელშეკრულებისა, ხალხთა ლიგის სტატუტების ჩარიცხვითაც; 2) სპეციალური ფონდის შექმნა ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის, ქონების პროპორციული დაბეგვრით და საფასურების გადადება მემკვიდრეობაზე; 3) მიწის საკუთრების დაბეგვრა; 4) საზოგადოებრივი სამუშაოები ამ გასამრჯელო უმუშევრებისათვის; 5) ნაციონალიზაცია მადნებისა და რკინის გზების და მუშათა გაძლიერებული კანტროლი; 6) საბინაო საკითხის გადაჭრა საერთო ნაციონალური მეურნეობით; 7) პენსიების გადიდება მოხუცებისა და ინვალიდებისთვის; 8) პენსიები ქვრივებისათვის, რომელთაც შვილები ყავთ. დაბოლოს მუშათა პარტია აცხადებს, რომ მისი პროგრამა არის საუკეთესო დასაყრდენი კლასიური ბრძოლისათვის; 9) პროპრამა, მათი ავტორების რწმენებით, არ შეიცავს არც კომუნიზმს, არც ბოლშევიზმს და ემყარება სიღ ბრძოლა და სამართლიანობას.

რუსეთი

ოქტომბრის დღესასწაული.

მოსკოვი. 8 ნოემ. 6 ნოემბერს პეტროგრადში ურიცკის მოედანზე გაიმართა პეტროგრადის გარნიზონის ჯარების აღლუმი. მოედანზე მიემართებოდნენ სამხედრო და სამოსწავლო დაწესებულებათა მოწაფეები და წითელ-არმიელების და მეზღვაურების დუასრულებელი რიგები. მოედანს ზემოდან დასტრიალებდნენ ჰიროპლანები, რომლებიც ჰყრიდნენ სააგიტაციო ფურცლებს. ზინოვიევი, ეკედოკიმოვი და კომინტერნის წევრები მიესალმნენ ტრიბუნიდან წითელ ჯარებს. მისალმებები დაიფარა „ვაშას“ და ინტერნაციონალის ხმებით.

აღლუმი ჩატარდა დიდი ალფრთოვანებით.

— ოქტომბრის წლის თავზე პეტროგრადში იხსნება წითელი არმიის მუზეუმი, სადაც მოგროვებულია მასალები წითელი მებრძოლები გმირობისა და ყოფა ცხოვრების შესახებ.

დღესასწაულის დღეს იხსნება პეტროგრადის რევოლიუციის მუზეუმის დიდი ნაწილი, სადაც მოიპოვება მრავალი მასალები რევოლიუციონურ მოძრაობის შესახებ.

გახსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზლისსელბურგის კამერა, თითქმის სავსებით გადმოტანილი ციხიდან.“

— ოქტომბრის წლის თავის დღესასწაულის დღეს პუტილოვის მუშებს ეწოდება სახელად „წითელი პუტილოველები.

— 6 ნოემბერს პეტროგრადში მოხდა რევოლიუციის მხვერპლთა სასაფლაოზე ყვირგვინების მიტანა, ქალაქის ყველა რაიონებიდან მრავალ რიცხოვანი დელეგატების სვლა გადაიქცა ჯერ არ ნახულ მანიფესტაციათ, ყველა ფაბრიკების და ქარხნების მუშებს გარდა მანიფესტაციაში მონაწილეობას ღებულობდნენ აუარემა ქალები, ბავშვები და აგრეთვე გარნიზონის და ფლოტის ნაწილები. ქალაქში დადიოდნენ ავტომობილები აღლეგორიული კიბურგებით. „რევოლიუციის მსხვერპლთა“ მოედანზე საფლავთა ირგვლივ ზღვა დროშები, აქვე არიან კომინტერნის ყველა დელეგატები. მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ზინოვიევმა რომელმაც აღნიშნა, რომ ნ წლის თავის დღესასწაულს ჩვენ ვდღესასწაულობთ მათი მეოხებით, რომელთა ხსოვნას ჩვენ დღეს პატივს ვცემთ.

კომინტერნის დელეგატების სახელით გამოვიდა კლარა ცეტკინი, რომელიც ლაპარაკობს მდელვარებაზე, რომელიც განიცადა მან ამ მოელი ქვეყნის ჩაგრულთათვის წმიდა ადგილზე. სამგლოვიარო ჰიმნის ხმები საფლავებს რთავ ნ ყვირგვინებით.

დაახლოებით დღის პირველ საათზე მანიფესტაცია უახლოვდება ურიცკის მოედანს, სადაც აღლუმი გაგრძელდა 3 საათს. გახუნყვეტლივ ინტერნაციონალის ხმების ქვეშ მიემართებიან ახალი ჯაჭვები მუშების, მუშა ქალების ბავშვების და სამხედრო ნაწილების, მანიფესტაციაზე გამოვიდა მთელი მშრომელი პეტროგრადი.

ამხ. ლენინის და ჩიჩერინის მიხალმება.

მოსკოვი, 7 ნოემბერი. „პეტროგრადსკაია პრავდა“-ში მოთავსებულია ამხ. ლენინის და ჩიჩერინის მილოცვა პეტ-ბავშვები.

როგორადისადმი, რომელშიაც უსურვებენ მას მომავალ 6 წლისთვის დღესასწაულს. ამხ. ლენინი სწერს: „სულით და გულით მოგილოცავთ ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის იუბილეს, ვუსურვებ მუშებს და გლეხებს მომავალ 5 წლის განმავლობაში ასეთივე წარმატებით ბრძოლას მშვიდობიანობის ფრონტზე, როგორც ისინი იბრძოდნენ სამხედრო ფრონტზე.

პეტროგრადის ხაბჭოს საზეიმო სხდომა

მოსკოვი 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს პეტროგრადში ურიცკის სასახლეში შესდგა პეტროგრადის საბჭოს ახალი შემადგენლობის საზეიმო სხდომა კომინტერნის კონგრესის წევრთა მონაწილეობით, მეუხარე ოვაციებს უმცრთავს საბჭო ზინოვიევს, ასეთივე ოვაციებით ეგებებიან კომინტერნის წევრებს,

პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ ამხ. ზინოვიევს.

ამხ. ზინოვიევი იტყობინება, რომ წარმოებებში უკანასკნელ სხდომაზე მუშებმა გადასწყვიტეს აირჩიონ პეტროგრადის საბჭოს წევრებად მაკს ჰელკი, მაკ-მანუსი, ბრანდლერი, დომბალი მუნცენბერგი, რაპაპორტი და კაჩინერი. პეტროგრადის საბჭო მეუხარე ოვაციებით ამტკიცებს დასახელებულ ამხანაგების არჩევას.

კლარა ცეტკინი იტყობინება, რომ ლეიპციგის მუშებმა და მუშა ქალებმა დაავალეს მას პეტროგრადის მუშებისა და მუშა ქალებისათვის წითელი დროშის გადაცემა.

ამერიკის კომპარტიის წარმომადგენელის კარჩა მისალმების შემდეგ, პოლონეთის კომპარტიის სახელით გამოდის პრეზიმორეკსკი, რომელიც აღნიშნავს, რომ მძიმე კაპიტალისტური ომის შემდეგ პოლონეთის პროლეტარიატი კვლავ წელში გაიმართა. კომუნისტურმა პარტიამ პოლონეთში დიდი გამარჯვება მოიპოვა, იტალიელი დელეგატი მაფფი ამბობს: „ჩვენთვის ძველია თქვენი ვალის გადახდა. თქვენ გაგთავისუფლეთ არა მარტო რუსეთი, არამედ ნიადაგი მოუმზადეთ მთელ მსოფლიო პროლეტარიატს განთავისუფლებას. ჩვენი რევოლიუციონური მოდგაწეობით ჩვენ ვალი უნდა გადაგიხადოთ თქვენ“.

კუნძულ იავის დელეგატის მალაკკა და ჩოლგარეთის კომპარტიის წარმომადგენელის კოლაროვის გამოსვლის შემდეგ გამოდის ამხ. ზინოვიევი და ამბობს „რუსეთი თავს აღწევს სიღარიბეს, ჩვენ თუმცა და კიდევ ღარიბები ვართ, მაგრამ ვგრძნობთ მდგომარეობის შემსუბუქებას—დელეგატები ეხებიან მომავალ მსოფლიო ომის შესაძლებლობას, ჩვენ კი მას არ დაუშვებთ. ჩვენ კაპიტალისტების წინააღმდეგ დავრაზმეთ ძლიერი არმია, არმია მშრომელების. ჩვენ ვუპასუხებთ მსოფლიო რევოლიუციით“.

მეუხარე აპლოდისმენტებით ეგებებიან ამხ. ზინოვიევის სიტყვას.

სხდომის შემდეგ კონგრესის დელეგატები გაემგზავრენ მოსკოვში.

ოქტომბრის დღესასწაული ხარკოვში.

მოსკოვი 8 ნოემ. 6 ნოემბერს ხარკოვმა მიიღო საზეიმო სახე. მთელი ქალაქი მორთულია დროშებით, ხალიჩებით და მწვანეულობით. იმართება მანიფესტაციები, რომლებშიაც მონაწილეობას ღებულობენ მუშები და მრავალი

ახალი ამბები

— **პატიმართა განთავისუფლება.** საქართველოს საგანგებო კომისიამ ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის აღსანიშნავად დადგინა განთავისუფლოს პატიმრობისაგან 100 კაცი, რომელნიც ეკუთვნიან მშრომელთა ელემენტებს.

— **ს. გლახაშვილის გარდაცვალება.** გარდაიცვალა მწერალი ს. გლახაშვილი (ს. ტარუაშვილი). განსვენებულს კარგად იცნობდა ჩვენი საზოგადოება, როგორც დრამატურგსა და ბელეტრისტს, აქვს გამოცემული თავისი თხზულებების რამოდენიმე ტომი და აგრეთვე შუქალტერიის სახელმძღვანელო ქართულად. მისი დრამატიული ესკიზი „ზვარაკი“ გადათარგმნილია რუსულადაც. ამ ბოლო დროს გამოსცა საბავშვო იგავ-არაკები. განსვენებული მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა სახალხო თეატრების საქმეების მოწყობაში ქიათურასა და ტფილისში.

— **ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული.** ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული წარმატებით ჩაატარა ტფილისის მშრომელმა ხალხმა. მთელ ქალაქში სახლები და დაწესებულებანი მორთული იყო წითელი დროშებით და ხალიჩებით. ლამით განათებული იყო უმთავრესი დაწესებულებანი და მორთული იყო გირლიანდებით საზეიმოდ.

სასახლე სადღესასწაულოდ იყო მოკაზმული. ელექტრონის არშიას და გირლიანდების ხლართს ერთოდ ეროვნული ფერი.

ქალაქის აღმასკომის შენობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა, რომლის წინ აღმართული იყო ტრიბუნა ორატორთათვის.

პროფკავშირთა დარბაზში და უმაღლეს სამეურნეო საბჭოში გამოფენა იყო გამართული, მათი ნაწილების სრულ გადმოცემის მიზნით.

სახელმწიფო სავაჭროებში განსაკუთრებულ მორთულობით მოსჩანდა ლენინის, ტროცკის და რევოლიუციის სხვა ხელმძღვანელთა სურათები.

რაიონებში შეკრებილი დემონსტრაციები გაეშურნენ დიდებში, სადაც გაიმართა დიდი აღლუმი.

სადამოს თეატრებში, კინოებში და გასართობებში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენები და სეანსები.

ბავშვებისათვის გამართული იყო სპეციალური წარმოდგენები.

ქალაქი [illegible] იყო გასვეული. საზეიმოდ [illegible] ბი დაჰკროდენ ქუჩებში.

სამსახტვრო ქრონიკა

ხახელმწიფო ოპერა. დღეს, ნოემბრის 9-ს პირველი გამოსვლა ნ. გ. სტრიჟნოვისა „აიდა“ მონაწილეობენ პეტლიაშ-ბერილიოტი, ლევიცკი, ქარციევიძე, სამინინი და სხ. დასდგამს ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, დირიჟორი ვანო ფალიაშვილი.

რუსთაველის თეატრი. დღეს, ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, მიდის ნ. შიუკაშვილის პიესა „სიმახინჯე“, სდგამს რეჟ. მ. ქორელი.

ხახელმწიფო ოპერა. დღეს, ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, მიდის „აიდა“, პარასკევს, 10 ნოემბერს „ევგენი ონეგინი“.

სალიტერატურო ხუთშაბათი. დღეს, ხუთშაბათს, ნოემბრის 9 ს გაიმართება მორიგი 23 ლიტერატურული ხუთშაბათი დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების გამო. სიტყვებს იტყვიან: ვალერიან გუნია, ნ. შიუკაშვილი, შალვა დადიანი, კ. მაყაშვილი, კ. გამსახურდია, დემნა შენგელაია. დასაწყისი 8 საათზე.

თოთბირი თეატრის შეხვედრა. შაბათს, ნოემბრის 12-ს, საღამოს 6 საათზე, განათლების კომისარის კაბინეტში დანიშნულია საგანგებო სხდომა მთავარ სახელოვნო კომიტეტის, გაიმართება განათლების კომისარის თანდასწრებით თოთბირი შესახებ ქართული დრამატიული თეატრის მდგომარეობისა.

თოთბირზედ მოწვეული არიან: საქართველოს ხელოვანთა კავშირის წარმომადგენელი, აკადემიური თეატრების მმართველობა, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის წარმომადგენელი, ქართველი რეჟისორები, ქართველ მსახიობთა კავშირის წარმომადგენელი, „ხომალდის“ წარმომადგენელი, „ც. ყანწების“ წარმომადგენელი, „ილიონის“ წარმომადგენელი, რედაქტორები: „ტრიბუნის“, „კომუნისტის“, „ბახტრიონის“, „ლომისის“,

კ. ა. მარჯანიშვილი, ი. ხურაბიშვილი, ლ. სვიმონიშვილი, „რაბისა“ და „მეცნიერებისა“ წარმომადგენელი.

გაზ. „ბახტრიონი“. გამოვიდა გაზეთ „ბახტრიონის“ მორიგი მე-18 ნომერი, შემდეგი შინაარსით: წერილები: წყალდიდობა საქართველოში—ვარამ გაგელი; ქართულ დრამისთვის—შ. ა.; აკაკის სამშობლო—არტურ ლეისტი; ინტერვიუ სპარსელ ქართველთან—სოსო ასლანიშვილი; ლექსები ვალერიან გაფრინდაშვილის, შალვა კარმელის, ნინო თარიშვილის, ვიქტორ გაბესკირის და ლევან ასათიანის; ქრონიკა, ბიბლიოგრაფია და სხვა.

პარტიაში

„არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური წრე“

კვირას, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე, საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ცენტრალურ ბიუროში წაკითხულ იქნება მორიგი მოხსენება ამხ. **შალვა ლეონავას** მიერ **„რევოლიუციაზე“.**

დასწრება შეუძლია ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

წრის გამგეობა.

ჩვენი სკოლისათვის

(პედაგოგიური ჟურნალის საჭირო)

ზედმეტად მიგვაჩნია ლაპარაკი პედაგოგიურ ჟურნალის დიად მნიშვნელობაზე, მხოლოდ უცნაური მოვლენაა და დანაშაული, რომ დღემდის ჩვენ ასეთი ჟურნალი არ მოგვეპოვება.

ქართულ სკოლას და მის პედაგოგიურ მუშაკთ საკუთარი ბეჭედითი ორგანო არ აქვთ!..

ეს სირცხვილად უნდა ჩაგვეთვალოს.

რუსის იმპერატორის ენდარმულ რეჟიმის ქვეშ ქვნესის ქმს ჩვენ გვქონდა პედაგოგიური ჟურნალი!. ვის არ გახსოვს ჟურნალი „განათლება“ და მისი ღვაწლი... ვინ არ ალივსებით პატივისცემის გრძნობად კეთილ მუშაკ ლუარსაბ ბოცვაძისადმი, რომელმაც ქმსა მონობისასა, როდესაც ქართველი ერი

რუსის ტახტის წინაშე იყო დანაბარებული და ჩვენი სკოლა კი გამხდარიყო რუდოლფების თუ ვოსტორგოვების საჯირითო მოედანი, აი ასეთ შავბნელ ხანაში დაარსა ლუბარსაბმა ჟურ. „განათლება“. ვინ არის ისეთი ქართველი მასწავლებელი, რომ ლ. ბოცვაძის მოწოდება და გამხნევება არ მოესმინოს?!.

რამდენ სკოლას და მასწავლებელს უგზავნიდა განსვენებული ჟურნალს უფასოდ, რომლის გამოსაცემადაც თავის სამასწავლებლო ჯამაგირის უკანასკნელ კაპეიკებს ხარჯავდა. ასე იყო გუშინ, როცა საქართველო გამქრალიყო პოლიტიკურ ცხოვრებიდან, როცა ჩვენს მოკლებული ვიყავით საკუთარ სახელმწიფო ინსტიტუტებს.

აწ, როცა ვ მბობთ, რომ გვაქვს ქართული სკოლა, რომლის გულშიაც არ ფეთურობს უცხო დირიჟორის ხელი და თუ ეს ასეა ასეთ სკოლას ჩვენ თავს უნდა ვეფლებოდეთ!..

სკოლის ნაკლთა ამოსავსებად ჩვენ მუდმივი სჯა-ბაასი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა უნდა გვქონდეს.

რა ფასი აქვს სკოლის კარგ სახელწოდებას, როცა მისი შინაარსი არას გვეუბნება!..

სკოლაა ყველა კულტურულ ერის მომავლის გამომქედი, სკოლამ უნდა მოგვცემს ის სასურველი თაობა თავის ქვეყნის ნამდვილ შეცნობით აღზრდილი, რომელსაც აწმყომ ერის ცხოვრების კალიტი უნდა ჩაბარის ხვალ და რომელიც მომავალ უნდა სჯობდეს.

რუსის სკოლებმა (გიმნაზიებმა) იმპერატორის რეჟიმის დროს ქართველი ბავშვები გაარუსა და ერთგულ მოხელეებად აქცია, რადგან ამ სკოლებზე მზრუნველობის უფლება ქართველ ხალხს არა ქონდა. იქედან გამოდევნილი იყო ქართული ენა და ისინი არსებობდნენ საქართველოს მიწა-წყალზე იმ სპეციალ მიზნით, რომ ქართველები გაერუსებინათ და ამით სამუდამოდ გაეკრთოთ „საფრთხე“ ქართულ ეროვნულ საკითხის წამოყენებისა.

სულ სხვა იყო სასულიერო სემინარია და ქართული გიმნაზიები. ცნობილია, რომ ჩვენი ბუმბერაზი მოღვაწეები და ინტელიგენცია მოგვცა ზემოხსენებულმა სასწავლებლებმა, ვინაიდგან ამ სასწავლებლებში ქართულ ენას და საქართველოს ისტორიის სწავლებას იმ რიგად ვერ სდევნიდნენ, როგორც კლასიკურ გიმნაზიებში, თუმცა ქართულ გიმნაზიის კედლებშიც ხშირად ნათლავდნენ ქართულ ენას „ძველის ენის“ სახელით რუსის რეჟიმის „მეცნიერ-გამსახიერებელნი“. დღეს გვმართებს ფიქრი და ბჭობა იმის შესახებ თუ როგორი შინაარსი სკოლა უფრო ეგუება საქართველოს სინამდვილეს, როგორი პროგრამით უნდა გავსწითთ ჩვენ სწავლება და სხვა ათასი საკითხები, რომლებზეც სჯა-ბაასი ისე უნდა შეიოდეს მასწავლებელს, როგორც თვით „პური არსებისა“.

ჩვენ ვფიქრობთ პედაგოგიურ ჟურნალის დაარსებას მოწინააღმდეგე არავინ ეყოლება, ამისათვის საჭირო ინიციატივა,—რეალ ნაბიჯის გადადგმა; ყველაზე წინ დადგება მატერიალური მხარე. ამ შემთხვევაშიც საკითხის გადაჭრა ადვილია, მთელ საქართველოს მასწავლებლები ერთხელ კიდევ დაიბეგრავენ თავს. თავის უმნიშვნელო ჯამაგირს. ერთხელ კიდევ მოაკლებენ პროკურორებს, ოღონდ კი მათ ჰქონდეთ სულიერად მკვებავი ბეჭდვითი ორგანო, რომლის საშუალებითაც იგი ილაპარაკებს თავის ჭირ ვარამზე, სკოლის საქმეებზე და პედაგოგიკაზე. ჩვენ, პროვინციელი მასწავლებელნი ვფიქრობთ, რომ პედაგოგიური ჟურნალის არსებობა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა სულიერ სიმშიერს დააკმაყოფილებს. გვწამს, რომ ეს ასეა, ვიმუდრეფით—მოუწოდებთ ჩვენი სკოლის მუშაკთ, გადასდგან საქმიანი ნაბიჯი და ახალ წლისათვის ძვირფას საჩუქრად ქართველ მასწავლებელს მ უძღვნან პედაგოგიურ ჟურნალის პირველი ნომერი.

ირ—დი.

საუნივერსიტეტო ცხოვრება

წელს საუნივერსიტეტო ცხოვრებას განსაკუთრებული ხასიათი ეტყობა. აუდიტორიები ვეღარ იტევს სტუდენტობას. განსაკუთრებით ჩანს ახალად კურს დასრულებულნი საშუალო სასწავლებლებში, რომელნიც პირველად ესტუმრნენ უნივერსიტეტის კედლებს. არ ჩანს ძველი სტუდენტობის უმრავლესობა, რომელიც ცხოვრების უკეთესმართობამ და სხვა და სხვა მიზეზებმა შორს გასტყორცნეს მეცნიერების ტაძრის კარებიდან. ვშიშობთ, რომ ასეთივე ბედი არ ეწიოს დღევანდელ სტუდენტობასაც...

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ სიმრავლე მსმენელთა კიდევ არ წარმოადგენს საფუძველს აკადემიური მუშაობის გაცხოველებისათვის. საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მინიმალურად მაინც ჰქმნიდეს საშუალებას აკადემიური მუშაობის შესაძლებობისას.

ამ მხრივ მეტად მცირე რამ კეთდება და დიდი დაბრკოლებების წინაშე ვდგევართ.

პირველ რიგში აღნიშნული უნდა იქნეს სახელმძღვანელოების უქონლობა. წიგნის ბაზარი ან სრულიად არ იძლევა საუნივერსიტეტო ნაშრომებს ან და ისეთ პირობებში, რომ მით არ შეიძლება ისარგებლოს სტუდენტთა მასამ სიძვირის გამო. ეს უკანასკნელი გარემოებაც რომ მოხსნილი იქნეს, საქმის ვითარება არ შეიცვლება, რადგან მეცნიერული შრომანი ჩვენს წიგნის ბაზარზედ გამოდის უმთავრესად დამშეუფული ინტელიგენტის ხელიდან, რომელიც უკანასკნელ წიგნს ჰყიდის და ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი მოვლენით აკადემიური მუშაობისათვის სახელმძღვანელოების დაგროვება ყოველად შეუძლებელია.

ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საჭიროა სტუდენტთა საბჭომ ან თვით განათლების კომისარიატმა რუსეთში შეიძინოს საჭირო სახელმძღვანელოები, სადაც საკმაოდ გამოცემულია სახელმძღვანელოები. უკანასკნელ ხანაში კერძო წიგნის მაღაზიებმა „რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს ამ მხრივ, მაგრამ ცხადია, რომ მათ მიერ არ შეიძლება იქნეს სისწორით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საჭიროება და აგრეთვე არ შეიძლება იაფ-ფასებში მოხდეს სახელმძღვანელოთა მოწოდება. ეს საქმე უნდა იკისროს ან თვით უნივერსიტეტმა ან სწავლა-განათლების სათანადო ორგანოებმა.

არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მიუხედავად რუსული ენის ძალა-უნებურად შეთვისებისა, არ შეიძლება სამარადჟამოდ მივიჩნიოთ რუსეთის მიერ გამოცემული შრომანი. ჯერ-ჯერობით სანამ თვით ჩვენი უნივერსიტეტის ძალებს არ შეუძლიათ დაკმაყოფილონ უნივერსიტეტის მოთხოვნილებანი სახელმძღვანელოს მხრივ, ფაქტიურად უნდა იქნეს მოწესრიგებული თარგმნის საქმე.

თვით სტუდენტები უნდა შეეჩვიონ თარგმნას და პროფესორთა დახმარებითა და რედაქციით უნდა ხდებოდეს საჭირო შრომების გადათარგმნა. თარგმნითი ლიტერატურის მხრით ჩვენ მეტად დარიბი ვართ და ამას ჯერეოვანი ყურადღება უნდა მიექცეს. სახელმწიფომ უშუალოდ უნდა გაუწიოს დახმარება მთარგმნელთა წრეებს.

სტუდენტთა შორის უნდა დაარსდეს მეცნიერული წრეები, წმინდა აკადემიურის ინტერესით და ბონებრივი განვითარებისა და მეცნიერების შესწავლა არ უნდა სწარმოებდეს აუდიტორიების ვიწრო ფარგლებში ლექციების სისტემით და არც სახელმძღვანელოთა გადაკითხვით.

საუნივერსიტეტო მუშაობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ მხარეს მსმენელთა. ამ ახრივ რა თქმა უნდა დღევანდელ პირობებში ფართოდ უზრუნველყოფაზედ ფიქრი ზედმეტია, მაგრამ სათანადო ნაბიჯები აუცილებლად უნდა იქნეს გადადგმული.

დღეს კი განათლების კომისარიატის მიერ შემოდებულია სწავლის ფული ორ მილიონ ნახევარი წლიურად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სწავლის ფულის გადახდისაგან თავისუფლდებიან ის პირნი, რომელთა მშობლები ითვლებიან 10 კატეგორიის ქვევით ჯამაგირის ნუსხისა ან და არ იღებენ 40 მანეთზედ მეტს ოქროთი. ეს მუხლი დეკრეტისა მხედველობაში ილებს მშობლებს და არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დღეს სტუდენტობა ჩვენში უკვე აღარ არის მშობლებისა ხარჯზედ, არამედ თვით უხლება არსებობის საშუალებათა მოპოვებისათვის ბრძოლა. ამდენათ ის სტუდენტები, რომელნიც თვიურად იღებენ მხოლოდ პურის ფულს დაახლოვებით 1—2 მილიონ მანეთს, ვერ შეძლებენ ორ მილიონ ნახევრის გადახდას სასწავლო ფულად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწავლის ფულის აკრების დროს საქმე გვექნება მეტად არა სასურველ მოვლენებთან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტში არ ჩანს სტუდენტთა ინიციატივა და სტუდენტთა საჭირო ვერ ხელმძღვანელობს სტუდენტთა აკადემიურ და კულტურულ მუშაობას. ამ მდგომარეობის დატოვება შეუძლებელია. აუცილებელია ლიტერატურულ-აკადემიური ხასიათის მოხსენებების გამართვა თვით სტუდენტების მიერ და ს უდენტთა საბჭო თუ ვერ შეძლებს ამის გაძღოლას და ინიციატივას, ფაკულტეტების გამგეობებმა უნდა იკისროს ეს როლი.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც. ხშირად ლექციები გრძელდება 1—2 საათამდე და რამდენიმე წუთს შემდეგ კიდევ იწყება ასეთივე დროითი ლექცია. მთელი ამ დროს განმავლობაში აუდიტორიების ფანჯრები არ იღება და ჰაერი არ იწმინდება, რის გამოც მეტად ცუდი ატმოსფერა არის ლექციების დროს. საჭიროა უნივერსიტეტმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს.

ერთ დაუშვებელ მოვლენას კიდევ უნდა მიექცეს ყურადღება. ლექციების დროს დარბაზში მუდმივ შესვლა და გამოსვლა მეტად უხეირო პირობებს ქმნის როგორც პროფესორებისათვის, ისე მსმენელთათვის.

უკიდურეს შემთხვევაში საჭირო ხდება კარების დაკეტვა. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. სტუდენტებს თუ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ რაიმე წესის შემოღება ამ მხრივ პროფესორთა საბჭომ უნდა მიიღოს მკაცრი ზომები ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია განათების საქმეც. ელექტრონის სინათლე წამ და უწუმ ქრება და სინათლისა და სიბნელის ჩქარი ცვალებადობა არღვევს ყურადღების შეჩერებას საგანზე და ლექციის ძაფს.

მეტად ცუდ მდგომარეობაში არის წყლის საქმეც. ერთად ერთი „კანი“ რომელთანაც მთელი რიგი სდგას სტუდენტებისა წყლისათვის მოკლებული პექსაც კი და „კრანის“ საშუალებით არის შესაძლებელი ტალახიანი წყლის დალევა. ეს ფაქტი ყოველად დაუშვებელია. თუ წყლის აღება დიდ ხარჯებს მოითხოვს, მისი გაწმენდა მაინც უნდა ხდებოდეს და უნდა იყოს რამდენიმე ჭეშმარიტი წყლისათვის მიჩენილი.

როგორც ვხედავთ საუნივერსიტეტო მუშაობისათვის ღღეს მხოლოდ მარტო მაღალა ჭრსებობს, მსმენელები გვყავს, ხოლო სხვა მხრივ მეტად დიდი მუშაობაა საჭირო, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრებამ ოდენავად მაინც ნორმალური ხასიათი მიიღოს.

მსმენელი.

გადუჭრელი საკითხი

ამ წერილში მსურს მკითხველს გაუზიარო ჩემი შეხედულება საკმაოდ მნიშვნელოვან, მოხალისე თანამშრომელთა საკითხზე მეაბრეშუმეობისა და სტატისტიკის დარგში. პირველთა შესახებ ამ ორი თვის წინადაც გვქონდა ლაპარაკი,—ვეცდებით მოკლედ შევეხოთ და ნათქვამი არ გავიმეორეთ... მეორეთა, სტატისტიკის დარგში მომუშავეთა, მოხალისე კორესპონდენტთა შესახებ ლაპარაკი და წერა ეხლა მეტად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რადგანაც ეხლახან გახსნილმა სტატისტიკასთა ყრილობამ ეს საკითხიც უეჭველად უნდა განიხილოს.

აღსანიშნავია ის გარემობა, რომ ასეთ მოხალისე თანამშრომლებს, რომელიც არიან მოხალისე კორესპონდენტები და სხვა—ხშირად მიმართავენ მკაცრი დავალებით და მოთხოვნილებებით, ხოლო იმაზე თუ რაგორ და რითი წაახალისონ ეს მოხალისე თანაშშრომელნი—ნაკლებად ფიქრობენ.

ჩვენ პრაქტიკიდან ვიცით, რომ ასეთ მოხალისეთა უსასყიდლო შრომით (თანამშრომლობით) ბევრი არა კეთდება რა და ყველ შემთხვევაში იმდენი მაინც არა კეთდება—რამდენიც აუცილებლად საჭიროა გაკეთდეს...

ბევრს კარგავს როგორც მეაბრეშუმეობა, აგრეთვე სტატისტიკის დარგიც ამ უსასყიდლო მუშაკებზე იმედების დამყარებით.

სულ სხვა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამ მოხალისე მუშაკთ რაიმე წამახალისებელ დახმარებით (სასყიდლად) შრომას დაუფასებდით. ამით ჩვენ მეტი უფლება მოგვეცემოდა ასეთ მუშაკთაგან მოგვეთხოვა პასუხისმგებლობა, რაც უეჭველად თანამშრომლობასა და საქმეს შესაფერსა და სასურველ სახეს მისცემდა...

ჩვენს მეაბრეშუმეობის ორგანიზაციას კოოპერატივებთან აქვს საქმე. საქართველოში, გარდა სამხედრო კოოპერატივებისა, ცხრაასამდე კოოპერატივი არსებობს.

აქედან ნახევარიც რომ ვიგულისხმოთ ისეთ ადგილებზე, სადაც მეაბრეშუმეობა ვერ ხეირობს მივიღებთ, რომ 400—500 კოოპერატივი მაინც ემსახურება მეაბრეშუმეობას. დაახლოებით 500 მოხალისე თანამშრომელი ყავს ჩვენში აბრეშუმის წარმოებას და ამ 500 თანამშრომლის შრომა დაახლოებით მაინც უნდა შეფასდეს თუნდა იმიტომ მაინც, რომ აბრეშუმის პარკის უფრო სწორი ღირებულება მივიღოთ..

იმის გამო, რომ ასეთ მოხალისე თანამშრომლებს ძალიან იშვიათ შემთხვევაში ეძლევათ შრომის ჯილდო და ისიც მეტად მცირე—საქმე ფერხდება: ჭიის თესლის (გრენას) გასაღება და მოვლა გვიანდება, აგრეთვე გვიანდება ნედლი პარკის შეგროვება და გაშრობა,—ყველაფერ ამას კი იმდენად დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოს.

ორგანიზაცია, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მაშინ არის სადი და მაქსიმუმ მომქმედი, როდესაც ყველა თანამშრომელი მადლიერი და რაოდენადმე მაინც კმაყოფილი ჰყავს. თამამად ითქმის, რომ ასეთი ორგანიზაცია მოგებით და გამჯერჯვებითაც უეჭველად უზრუნველყოფილი იქნება...

ყოველთვის მეტი ნდობითა და ყურადღებით უნდა ადიეკურვონ თანამშრომელნი, ვიდრე ღღეს არიან... ყოველთვის დროზე უნდა მიეწოდოთ მათ საჭირო მასალები, ინსტრუქცია-დარიგებები და სხვა დახმარება. მაშინ მოსთხოვეთ პასუხი და საქმეც გაკეთდება!

არა სახარბიელო ბედისანი არიან სტატისტიკის დარგში მომუშავე მოხალისე კორესპონდენტებიც. დღემდე მათაც გასამრჯელოდ არაფერი ეძლევათ. ჯერადერი ახალისებთ მათ. წამახალისებელი მცირე დახმარება მაინც ამ მძიმე ეკონომიურ პირობებში აუცილებლად უნდა ჩაითვალოს... მართალია, სტატისტიკის ცენტრალი სამმართველო (ცესუ) ცდილობს დახმარებას საკანცელარიო ნივთების მიწოდებით მაინც, მაგრამ საჭირო იქნება უფრო სისტემატიური დახმარების საშუალებათა გამონახვა—მეტი წამახალისებელი ზომების გამოძებნა, რომ თანამშრომლობა უფრო ნორმალ და სასურველობას მიმღწევი იყოს! საუკეთესო ზომა იქნება ასეთ მოხალისე თანამშრომელთა (კორესპონდენტთა) ზოგიერთ გადასახადისაგან განთავისუფლებაც.

ერთის სიტყვით, ასეთ (განსაკუთრებით სპეციალურს) დარგში თუნდაც მოხალისე მუშაკთა დაჯილდოება და წახალისება აუცილებლად უნდა ჩაითვალოს; მოვიყვანოთ ამის აუცილებლობის მაგალითები:

ტფილისის მაზრის სტატ.-ორგანოს ყავს 24 მოხალისე კორესპონდენტი; მათ შორის:

სუფლის მეურნეა .	6 კაცი,
აგრონომი . . .	4 „
მასწავლებელი .	2 „
მოხელე	12 „
სულ:	24 კაცი.

ამასთანავე სტატ.-ორგანო აღნიშნავს, რომ ამ რიცხვში არ შედიან ის მოკალაქენი, რომელნიც მოხალისე კორესპონდენტებად ითვლებიან, ხოლო დაწესებულებას ჩრავითარ ცნობებს აწვდიან, რატომ არ აწვდიან,—მიზეზი ცხადია.

ტფილისის მაზრის მცხოვრებთა რაოდენობა (ქ. ტფილისის გამოკლებით) დაახლოებით 120.000 სულს უდრის, ასე რომ—თვითეულ მოხალისე კორესპონდენტზე 5.000 მცხოვრები მოდის, რაც უეჭველად დიდ ნორმად უნდა ჩაითვალოს.

მაგალითისთვის ავიღოთ ერთი მაზრაც—ქუთაისის მაზრა. ამ მაზრის სტატისტიკურ—ორგანოს 1919 წლიდან 164 მოხალისე კორესპონდენტი ჰყოლია, რომელთა შორის უმრავლესობა სოფლის მეურნეები და მასწავლებლები ყოფილან. ამ ბოლო დროს კი მაზრას ეწოლოდ 52 კორესპონდენტი და ყავს. მათ შორის:

სოფლის მეურნეა .	7 კაცი,
აგრონომი . . .	4 „
მასწავლებელი . .	30 „
ადმასკომის მდივანი	10 „
ექიმი.	1 „
სულ:	52 კაცი.

ამასთან—სტატ.-ორგანო აღნიშნავს, რომ იმედების დამყარება არ შეიძლებოო,—მიზეზად იგივე გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი ეკონომიური კრიზისის დროს სრულიად უსასყიდლოდ თანამშრომლობა შეუძლებელია...

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მოხალისე კორესპოდენტთა ქსელი თანდათან იშლება, სხვა და სხვა დავალებები და ანკეტები უპასუხოდ იკარგება და საქმე მეტად ფერხდება!..

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქუთაისის მაზრის მოხალისე კორესპონდენტებედაც მცხოვრებთა რაოდენობის ნორმა დიდი მოდის.

ამ მაზრის მცხოვრებთა რაოდენობა (ქუთაისის გამოკლებით) უდრის 234.000 კაცს, სადაც ოთხი ამ მაზრის მოხალისე სტატ.-კორესპონდენტია (234 000 მცხოვრ. : 5=) 4.500 მცხოვრები. (ცნობა ამოღებულია ქუთაისის მაზრის სტატ.-ორგანოდ.)

უნდა ითქვას, რომ სტატისტიკას სახელმწიფო ცხოვრებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და დაუყონებლივ მოითხოვს როგორც სხვა თანამშრომელთა, აგრეთვე მოხალისე კორესპონდენტთა გამრავლებას და უზრუნველყოფას, რათა უფრო ნაყოფიერი იყვეს მუშაობა და უფრო სრული მიზნის მიღწევა.

ხევ. ბ—ძე.

ოქაღლიდობა გურიაში

მკითხველებმა გაკვრით უკვე იციან, რამ მიმდინარე წლის 7—8 სექტემბერს საშინელმა წყალდიდობამ გაანადგურა ოზურგეთის მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი. საშინელი სურათი იყო. ვისაც თვალით არ უნახავს, მათთვის დაუჯერებელი იქნება ის, რაც სინამდვილეში იყო. ოზურგეთის მცხოვრებნი მოწამენი იყვნენ ისეთი სურათების, რაც ზღაპარშიაც არ წარმოიდგინება. მაზრის ყველა მდინარეებმა გადმოხეთქა ნაპირები. ბევრი სოფლები და მთელი ქალაქი წყალში იყო. შუა ბაზარში, ოზურგეთში საშინელი ხიძლიერით გადიოდა მდინერე ბეუეის უმთავრესი ნაწილი. წყალში იყო ყველა სახლები და დუქნები. რა გინდოდათ, რომ წყალს არ მიჰქონდა; სახლები, პირუტყვები, ოჯახის სხვა და სხვა ავეჯეულობა, ხეები, უზარმაზარი ქვები და სხვა. ამ საშინელ განსაცდელში მყოფი ხალხი ითხოვდა შველას, მაგრამ წყალი ისე დიდი იყო, რომ მიშველებაც არ ხერხდებოდა. წყალი ცოტა დავარდა 8 სექტემბერს და შესაძლებელი შეიქნა ზარალის რამოდენიმეთ მაინც გამორკვევა. ამ წყალდიდობით დაზარალდა მთელი აღმოსავლეთი გურია, განსაკუთრებით კი სოფლები: უჩხუბი, გომი, შემოქმედი, მაკვანეთი, ლიხური, ნაბეღლევი, ქ. ოზურგეთი და სხვა. გაანადგურა ბევრი სახლები, წალეკა ყანები, დაიღუპა ბევრი პირუტყვი. სოფ. უჩხუბში რამდენიმე მოსახლე მთლად წაიღო, სადაც სამოსახლოც კი არ ეჩანევა, არის ადამიანების მსხვერპლი. აგრეთვე სოფ. ნაბეღლავის მთელი მცხოვრებნი იძულებული არიან აიყარნენ და სხვაგან გადასახლდნენ, ვინაიდან იქ ისე შეირყა ნიადაგი, რომ ყოველი ნივთი საფრთხეს წარმოადგენს. აგრეთვე განადგურებულია მაზრაში გზები. სტიქიამ არ აკმარა ოზურგეთის მაზრას ეს უბედურება და 24—25 ოქტომბერს კვლავ მოევლინა მას მეტის საშინელებით და სისასტიკით. ეხლა კი ადიდებულმა მდ. რიონმა გადმოხეთქა სადგ. საჯევახოსთან და მოედო რკინის გზის საჯევახო—ნიგოითი—ლანჩხუთი—სუფსას გზაზე მთელს მიადამოებს. სურათი წარმოადგენდა არა ჩვეულებრივ სანახაობას. მდ. რიონის გადმა-გამოდმა ნაპირების თვალ უწვდენი სივრცე სამტრედიიდან ვიდრე ფოთამდი ორ-სამ არშინ წყალში იყო. სურათი ნამდვილ ზღვას წარმოადგენდა. ლანჩხუთის რაიონი არის მაზრის საუკეთესო მოსავლიანი ნაწილი, სადაც ჭირნახულ ჯერ კიდევ მოუ-

თავებელი იყო. წყალმა მოუსწრო სწორედ მაშინ, როდესაც ხალხი მასიური სიმინდის ტეხაში იყო. მცხოვრებნი მთელი ოჯახობით, დედები ძუძუს მაწოვარი ბავშვებით იყვნენ გასული ყანებში სამუშაოდ, სადაც კვირაობით უხვდებათ ხოლმე დარჩენა, სანამ ჭირნახულს მოალაგებდნენ. ასეთ დროს მოუსწრო მათ საშინელმა წყალ-დიდობამ და ამ გვარად აუარებელი მუშა ხალხი დარჩა წყალში.

24 ოქტომბერს დამით ლანჩხუთის რკინის გზის ხაზი საშინელ სურათს წარმოადგენდა; მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელიც ოჯახებში დარჩენილიყვნენ— გამოეფინა ლიანდაგზე საშინელი წივილ-კივილით: ვინ მამას ტიროდა, ვინ დედას, ვინ ძმას და ვინ კიდევ ვის. ლიანდაგს იქით წასვლა კი აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან წყალი ზედვე იყო მოსული. აღარავინ ფიქრობდა, თუ ამ საშინელ სტიქიაში მოყოლილი ვინმე გადარჩებოდა. ეს საშინელი ამბავი პირველად ეცნობა ბათომს და სთხოვდნენ შველას. უნდა აღინიშნოს აჭარის სახ. კომის. საბჭოს სასახელოდ, რომ მან მიიღო სასწრაფო ზომები და იმავ ღამეს გაგზავნა ნავები თავის მოწყობილობით, ექიმები, მედიკამენტები და სხვა. ხალხს ამით ცოტა იმედი მიეცა. 25 ოქტომბერს ამუშავდა ნავები და დაიწყეს წყალში ჩარჩენილი ხალხის გამოყვანა კრეფდნენ მათ ხეებიდან ტ სასიმინდეებიდან, სადაც ორი დღე და ღამე უპმელი გაატარეს.

სამწუხარო სანახაობა იყო, როცა გამოყავდათ შიშისა და სიცივისაგან მოკრუნჩხული და წყალში ამოწკუმპული ხალხი, მათში დედები ძუძუს ბავშვებით. ამ გვარად მუშაობდა ნავები, ვიდრე წყალი არ დავარდა და ვინ იცის რამდენი მსხვერპლი იქნებოდა, რომ ბათომი არ მოგვშველებოდა. თუმცა ჯერ მთლად გამორკვეული არ არის, მაგრამ ადამიანის მსხვერპლი, რომ იქნება ეტვი არ არის. რაც შეეხება პირუტყვს, ხომ მთლად განადგურებულია, ვინაიდან მათთვის ადარავის ეცალა, რადგანაც აქ ხალხი იყო გასაჭირში. წყალმა წაიღო სასიმინდეები, წალეკა სიმინდის კალოები. ერთობ ზარალი ისე დიდია, რომ მისი აღნუსხვა ამ ჟამად ყოვლად შეუძლებელია.

ამ საშინელმა წყალდიდობამ ნადირებიც კი გამორეკა სოფლებში. ამ გვარად მრისხანე სტიქიამ ოზურგეთის მაზრა გაანადგურა და ერთ დროს კარგი მოსავლის იმედები სიმშილის აჩრდილით შეცვალა.

—ი.

სოფრომის ნსოვნას

გლეხაშვილი გარდაიცვალ ა!..

ორი წლის აქეთ ვიდებ ფანქარს, რათა ჯანასკნელი სიტყვა გითხრა, ჩემო სოფრომ...

— ჯვარით აღნიშნე შენი არყოფნა და შენს მშვიდს მოლიმარე სახეს ველარავინ იხილავს.

— ... და იგი ვეღარ ადარ მოძრაობს!

და იგი ჩვენი მეტყველი ადარ არსებობს!

გაჩერა ადამიანი და წარიშალა მისი ფიზიკური არსება ამა ქვეყნიდან!

— არაჩუნებრივი იყო მისი სიკვდილი, მოულოდნელი, უცნაური—...

— აწ დადუმებულნი მისი ბაგენი სამუდამოდ გაქვავდნენ.

— მის მკვეთრ ძახილს, მის ზარივით ხმას, მის ქანდაკებურ სიტყვას ვეღარ გავიგონებთ, თუმცა კი კარი ხანი ადარ გვსმენია.

— ... რა გითხრა, ჩემო სოფრომ, შენს საკადრის სიტყვას ვერ ვამბობ, მხოლოდ მიაწოდე ხმა იმ ჩვენს დიდებულებს და აუწყე, რომ

„ბაგენი ჩვენი დადუმებულან.

. . . . . .

Legatus.

ავლაბრის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების გარშემო.

ავლაბრის უბანს, რომლის ინტელიგენცია უფრო კერძო საქმეებზე ზრუნავს და არა რაიმე საზოგადო სასარგებლო კულტურულ საქმეებზედ, არ არის დიდი ხანი, რომ ჰქონდა შექმნილი კულტურულ განმანათლებელი საზოგადოება, რომლის მიზნის განხორციელებას შეიძლება ბევრი ანგარიშს არ უწევდა, მაგრამ ზოგნი მაინც დაინტერესებულნი იყვნენ ამ საზოგადოებაში თავისი წვლილი შეეტანათ, რამაც გამოიღო ერთგვარი ნაყოფი, როგორც არის მაგალითად სამკითხველოს გახსნა. მაგრამ დღეს რას ვხედავთ, რომ დესაც ამ საზოგადოების წინააღმდეგ ერევის გაუღაშქრებია და არც ყოფილა საზოგადო კრება, რომ ამ საზოგადოების მოქმედებას წერტილი დაესვა. და იქ, სადაც სამკითხველო იყო, მოთავსებული არის სავაჭრო. გვინდა ვიკითხოთ —სად და ვინ მიიღო საზოგადოების ქონებ? ნუ თუ ვალდებულნი არ არიან ხელმძღვანელები საზოგადოებას ანგარიში გაუწიონ, ცნობა მიაწოდონ, რომ მათ დატოვეს საქმის ხელმძღვანელობა და თან უჩვენონ ქონება, რომ თვით საზოგადოებამ მოუარეოს მას.

ა. ლე—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 18.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ამნისტიის შესახებ.

დიდი პროლეტარული რევოლიუციის ხუთი წლის შესრულების აღსანიშნავად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. იმას, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს უმაღლესი ზომის სასჯელი, შეეცვალოს ეს სასჯელი ათი წლით თავისუფლების აღკვეთად სასტიკი იზოლიაციით.

2. იმას, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა არა ნაკლებ ერთი წლისა, თავისუფლების აღკვეთის ან იძულებითი მუშაობის ვადა შეუმცირდეს ნახევრად და ამასთანავე ჩაეთვალოს სასჯელის უკვე მოხდილი ნაწილი.

3. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სასჯელისაგან და ყველა მისი შედეგისაგან (გარდა უკვე სისრულეში მოყვანილი ქონებრივი გადასახდელისა) ის, ვისაც ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა პირობით და თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა ერთ წელზე ნაკლები ვადით და სხვა მცირე სასჯელი.

შენიშვნა: უკეთუ ამ დადგენილების 1-ლ, მე-2 და მე 3 მუხლში აღნიშნულ პირთა საქმე ჯერ არ არის განხილული და საქმეთა იმ კატეგორიას არ უდგება, რომელიც ამა დადგენილების მე-4 მუხლის ძალით მოსპობილ უნდა იყოს, ამნისტიის საკითხი გადაწყდება ამ დადგენილებაში აღნიშნული წესის თანახმად საქმის განხილვა.

4. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად გასაჭართლებისაგან ამ დადგენილების გამოცემის დღემდე ჩადენილი დანაშაულისათვის, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს საქმე, ის ბრალდებული, რომლის საქმეც განხილული არ იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე (15 ნოემბრამდე), უკეთუ მას ბრალდება ისეთი მოქმედება, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსში დაწესებულია ამ დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული სასჯელი.

შენიშვნა: მე-3 და მე-4 მუხლი გავრცელებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრატიულ სასჯელზედაც.

5. სრულიად განთავისუფლებულ იქნეს სასამართლოსა და სასჯელისაგან ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურისაგან თავის ასარიდებლად ნაწილიდან ან სამსახურის ადგილიდან გაქცევისათვის მსჯავრდებულ იქნა ან რომელსაც ამ დანაშაულის ჩადენა ჰბრალდება, უკეთუ იგი ნებაყოფლობით გამოცხადდა ამა დადგენილების გამოცემის დღემდე ან ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდება სამსახურში ჩასარიცხავად სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთან.

შენიშვნა: ეს მუხლი გავრცელდება აგრეთვე დეზერტირის დამამარეზე და დამფარველზე.

6. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2-რე მუხლში აღნიშნული შედავათი სრულებით არ გავრცელდება იმ პირზე, რომელსაც შემდეგი დანაშაული ჩაუდენია:

ა) კონტრ-რევოლიუციონური მიზნით მოწყობა საჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყებისა, ან მონაწილეობა ასეთ აჯანყებაში, აგრეთვე მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეთა წინააღმდეგ მიმართულ ტეროორისტულ აქტებში და იმავე მიზნით მოწყობა აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საშუალებით რკინის გზის ან სხვა რამ გზის და მიმოსვლის საშუალებათა, წყალსადენთა, საზოგადოებრივ საწყობთა და სხვ. განადგურება დაზიანებისა და ასეთ დანაშაულში მონაწილეობა:

ბ) ჯაშუშობა;

გ) სახელმწიფოებრივი ღალატი;

დ) ბანდიტიზმი და

ე) მექრთამეობა.

7. ყველა, სხვა კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების გამო, დაევალოს სათანადო სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას გადასწყვიტოს საკითხი ამნისტიის გავრცელების შესახებ აღნიშნულ მოქმედებისათვის იმ მსჯავრდადებულზე, რომლის სასჯელის ვადის შემცირება ან სასჯელისაგან სრული განთავისუფლება, საქმის ვითარების მიხედვით, საშიშროებას არ წარმოადგენს საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკისათვის.

შენიშვნა: იმ პირის შესახებ, ვისი საქმეც ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე განხილული არ იქნება, მე-7 მუხლში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქმის განხილვისას.

8. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული სასჯელი მხოლოდ ერთი მესამედით შეუმცირდება იმას, ვისაც ამა დადგენილების გამოცემამდე შემდეგი დანაშაული ჩაუდენია: მონაწილეობა წესიერების მასიურ დარღვევაში, ყაჩაღობა, ძარცვა, სქესობრივი ძალადობა, მკვლელობა, ჩადენილი ბრალის დამამძიმებელ გარემოებაში, ყალბი ფულის მოჭრა და ყალბი საბუთის დამზადება, დეზერტირობა და თანამდებობრივი დანაშაული ანგარების ხასიათისა.

9. ამა დადგენილების მე-2 და მე-3 მუხლში აღნიშნული შედავათი არ გავრცელდება იმ პირზე, ვისაც უმაღლესი ზომის სასჯელი გადაეწყვიტა მაგრამ ეს სასჯელი თვით განაჩენის გამოტანის დროს ანსრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ან წინანდელ ამნისტიების ძალით უკვე შეცვლილ იქნა თავისუფლების აღკვეთად.

10. დადგენილება ესე გავრცელებულ იქნეს იმ მსჯავრ დადებულზედაც, წინა მუხლში აღნიშნულთა გარდა, ვისაც შეეხო წინანდელი ამნისტიები.

11. დადგენილება ესე არა ვრცელდება კერძო ბრალდების წესით აღძრულ საქმეებზე, რომელიც შეიძლება მორიგებით დამთავრდეს.

12. ამა დადგენილების ძალით განთავისუფლება სამართლისა და სასჯელისაგან არ ანთავისუფლებს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან; ხოლო უკვე განცხადებული სამოქალაქო სარჩელი, ჯერ განუხილველი, მაგრამ ამა დადგენილების ძალით მოსასპობი საქმის გამო, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის წესით.

13. დადგენილება ესე არა ვრცელდება გამოძიებასა და სამართალში მყოფ ბრალდებულზე ან სამართალში მიცემულ ისეთ პირზე, რომლის შესახებ დადგენილი განაჩენი, მის მიერ საკასაციო საჩივრის აღძვრის გამო ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა, უკეთუ, ერთი თვის განმავლობაში დღიდან მასზე ამ ამნისტიის გავრცელებისა, ითხოვს საქმის განხილვას იმ აზრით, რომ სასამართლოში თავი გაიმართლოს.

შენიშვნა: ეს მუხლი გავრცელდება წინანდელ ამნისტიებზედაც.

14. ამ ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, რომელნიც სასჯელს უკვე იხდიან, დაევალოს იმ სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას, აგრეთვე ადმინისტრატიულ ორგანოს, რომელთა განაჩენით ან დადგენილებით ხსენებული პირნი სასჯელს იხდიან, ხოლო იმ ბრალდებულთათვის, რომელთა საქმეც განუხილველია, მაგრამ მოსასპობი კი დაევალოს სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას ქვემდებარეობისამებრ.

15. საგამომძიებლო ორგანოებმა, ამა დადგენილების მე-4 მუხლის ძალით მოსასპობი საქმე, თავიანთი დასკვნით უნდა წარუდგინონ მოსაპობლად სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

16 მთელი მუშაობა ამა დადგენილების განსახორციელებლად დასრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა.

17. თვალყურის დევნება იმისა, რომ ეს დადგენილება სწორედ და მტკიცედ იქნეს შესრულებული, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით, დაევალოს: ა) იმ პირთა შესახებ, რომელნიც გამასწორებელ სახლში სასჯელს იხდიან—ცენტრალური დასჯა გასწორების განყოფილების განმანაწილებელ კომისიას; ბ) იმ პირთა შესახებ, რომელნიც იძულებითი მუშაობას იხდიან—იძულებითი მუშაობის ბიუროს, გ) ყველას დანარჩენის შესახებ—იუსტიციის კომისარიატთან არსებულ სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

18. ყოველგვარი განმარტებისათვის, საჩივრით ამნისტიის მუხლების არა სწორე შეფარდებისათვის ან შეუფარდებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეფარდებულ უნდა ყოფილიყო, უნდა მიმართონ სათანადო შემთხვევაში ზემო მუხლში დასახელებულ დაწესებულებებს, რომელთაც ყველა ამ შემთხვევის შესახებ უნდა მიახსენონ იუსტიციის სახალხო კომისარს, რომელზედაც დამოკიდებულია საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა.

19. დადგენილება ესე მოქმედებაში შევიდეს ტელეგრაფის საშუალებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. **კალანდაძე.**

1922 წ. ნოემბრის 7.

ტფილისი—სასახლე.

—

დადგენილება № 88.

განათლების სახალხო კომისარიატის იმ პირთა შესახებ, რომელთაც უფლება აქვთ სწავლის ფულის გადასახადისგან განთავისუფლებისა.

კომისარიატის მიერ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში სწავლის ფულის შემოღების შესახებ გამოცემულ დადგენილების მესამე მუხლის შესაცვლელად სახალხო განათ. კომისარიატი **ადგენს:**

1. სწავლის ფულის გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

ა) წითელ-არმიელთა შვილები და თვით წითელი არმიელები.

ბ) დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა შვილები.

გ) ფიზიკური შრომის მუშები და მათი შვილები, თუ თვიურის ჯამაგირის რაოდენობა არ აღემატება 40 მ. ოქროთი.

დ) სახელმწიფო სტიპენდიანტები.

ე) ყველა ტიპის და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა შვილები.

ვ) შვილები, ყოფილი მასწავლებლებისა, თუ უმსახურიათ პედაგოგიურ ასპარეზზე არა ნაკლებ 15 წლისა, ამ ჟამად არავითარი სამსახური არა აქვთ და წარმოადგენენ სიღარიბის მოწმობას.

ზ) დანარჩენი მოწაფეებიდან სასწავლებლების შეგირდთა საერთო რიცხვის არა უმეტეს 20 პროც.

2. მიმდინარე სამოსწავლო წლის პირველი ნახევრის სწავლის ფულის შეტანის ვადა გაგრძელდეს 25 ნოემბრამდე.

განკ. სახ. კომისარი: **დ. კანდელაკი.**

პროფ. განათ. მთავარმმართველობის გამგე: **ნ. მგელაძე.**

საქმეთა მმართველი **ა. მიქაბერიძე.**

—

ს. ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატისა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა შესახებ.

თანახმ დ ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დეკრეტისა ყველა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი არსდებიან განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით და იმყოფებიან ამ კომისარიატის უშუალო დამოკიდებულებისა და კონტროლის ქვეშ.

ამისდა მიხედვით განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს: კურსები, კლასები, სტუდიები და სხვა ყოველნაირი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი, რომელთაც არ აქვთ სათანადო ნებართვა არსებობისა, უნდა დაუყოვნებლივ დაიხუროს. ამ ხომის განხორციელება მიენდოს განათლების კომისარიატის პროფ. განათლების მთავარმართველობის გამგეობას.

განათ. სახ. კომისარი **დ. კანდელაკი.**

საქმეთა მმართვ. გამგე **ალ. მიქაბერიძე.**

მდივანი **ალ. მიქელაძე.**

რედაქტორ—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი